ცნობის ფურცელი

№ 2311 კვირა, 2 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2311

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა მისი უდროოდ გარდაცვალებულის ასულის

მართასი

დანიშნულია ორშაბათს, სამს ნოემბერს, ამაღლების ეკლესიაში.

ტფილისის სადგურიდან ცხედარს გამოასვენებენ დილის ცხრა საათზე იმავე რიცხვს. (3—2)

ივანე სერგეის ძე ტერ-სარქისიანი და ალექსანდრე სერგეის ძე ლისინოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლის, ხოლო მეორე—მამიდისა

თამარ მიხეილის ასულის ტერ-სარქისიანისას.

პანაშვიდები პარასკევსა და შაბათს საღამოს 6½ საათზე საკუთარ სახლში, მუშტაიდის ქ. გვამის გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9½ საათზე თანდოევის ღვთისმშობლის ეკლესიაში (მიხეილის ქ. რეალ. სასწ. მახლობლად). (2—2)

№ 14. ტელეფონი № 761

ქართული თეატრი

კვირას, 2 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად თარგ. დ. მესხის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ივანიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 ნოემბერს, 1903 წელს **გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარგ. დ. ყიფიანისა.

II

დუელი

იუმრობა 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. წყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 2 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

ჟიზნ ზა ცარია

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: კალინინი, არციბაშევა, კარრი, სკორუპსკაია; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, გლადკოვი, ევლახოვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო. (6).

„კვალის“ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

„კვალის“ რედაქცია ამით აცხადებს,

რომ საყოველკვირაო გაზეთი „კვალი“ ხელახლავ გამოვა ამ წლის 9 ნოემბრიდან იმავ პროგრამით, როგორც წინათ.

რადგან დროებით შეჩერების გამო ამ 1903 წ. ჩვეულებრივი რიცხვი №№-სა ვერ გამოდის, ამიტომ იმ ხელის-მომწერთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც წლის ბოლომდე გამოსულ ნომრებზე მეტი ერგებათ თავის შემოტანილ ფულში, დაკლებული რიცხვი ნომრებისა 1904 წლის ნომრებით შეუსრულდებათ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ფულის შემოტანა, წინაალმდეგ შემთხვევაში ერთ ნომრის შემდეგ გაზეთის გზავნა მოესპობათ.

ახალ ხელის მომწერთათვის გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება ერთ მანეთათ.

რედაქცია დროებით იმყოფება მიხეილის ქუჩაზე № 207.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ред. „Квали“.

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

ელისაბედის ქუჩა № 5, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად სახ. მილოვისა, მიიღებს ყურისა, ცხვირისა და ყელით ავადმყოფებს. დილით—9—12 ს. საღ.—5—7 საათ. ღარიბებს უფასოდ. (2—1)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

საქარის სანერგე ამერიკულ ვაზისა ამით აცხადებს: ვისაც ჰსურს დამყნილი ვაზი ან ამერიკულ ვაზის ლერწი შეუძლიან დაიკვეთოს 1903 წლის 15 დეკემბრიდან 1904 წლის 15 იანარამდის ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებიდან დ. ყვირილაში, კახეთისთვის-კი უნდა მიჰმართონ კონდოლის სანერგეს, რომელიც იმყოფება თელავის მაზრაში. შეკვეთილ მასალასთან უნდა გამოიგზავნოს ფული სრულად, რაც ეღირება მასალა.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ნაბეჭდი ცნობები საქარის სანერგის შესახებ უფასოდ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მოინინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

საზღვარ-გარედ

ჩინეთის პროტესტი

„ტაიმს“-ს სწერენ პეკინიდან: „ჩინეთმა, ლამის ხმა ამოიღოს და რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა რუსეთის ელჩს ბ-ნ ლესარს: მეტად გვიკვირს, რომ რუსის ჯარმა ქალ. მუკდენი ხელ-მეორედ დაიჭირაო. ლესარმა უპასუხა: საოცარი ეგ კი არაა, საოცარი ისაა, რომ ეგ ამბავი ეგრე გიკვირთო, როდესაც ჩინეთმა ამდენ ხანს რუსეთის მოთხოვნილება არ აასრულაო. რუსეთმა მოსთხოვა ეხლა ჩინეთს, მუკდენში რუსეთის წარმომადგენელი განაწესეთო. ეს წარმომადგენელი ჩინელ გენერლის თანაშემწედა და მრჩევლად უნდა იყოს და უამისოდ არც ერთი საქმე არ უნდა გადასწყდესო.

იაპონიისა და რუსეთის მოლაპარაკება

გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება მოულოდნელად შესწყდა. იაპონიამ მოითხოვა, მანჯურიისა და კორეის საქმე ცალ-ცალკე გავარჩიოთო, რუსეთის წარმომადგენელი არ დასთანხმდა და მოლაპარაკება შესწყდა. იაპონიის მთავრობამ მანჯურიის თაობაზე ცალკე ნოტა შეადგინა; ამ ნოტას იაპონიის ელჩი პეტერბურგში რუსეთის მთავრობას ჩააბარებს. რუსეთი გადაწყვეტით არას ამბობს მანჯურიაზე, თუმცა კორეის საქმეში კი მზადაა იაპონიას დაუთმოს. იქნება მოლაპარაკება ტოკიოს მაგიერ ისევ პეტერბურგში გაიმართოს. ბარონი როზენი ამას იქით მოლაპარაკებას აღარ განაგრძობსო.

ამავე მოლაპარაკების თაობაზე გაზ. „კობე ქრონიკლ“-ი სწერს: „რუსეთის ელჩი ბარონი როზენი პორტ-არტურიდან დაბრუნდა და 3 ოქტომბერს იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ბარონ კომურას მემორანდუმი გაუგზავნა. კომურამ ეს მემორანდუმი იმ წამსვე სამინისტროს წარუდგინა განსახილველად. მარშალი მარკიზი იამაგატა მაშინვე დეპეშით დაიბარეს კიოტოდან. მარკიზის მოსვლის უმალვე, 5 ოქტომბერს ტოკიოში, პირველ მინისტრის სადგომში მინისტრებმა თათბირი მოახდინეს. რუსეთის მემორანდუმში ეწერა, ამ ჟამად მანჯურიიდან ჯარს ვერ გავიყვანთო. რუსეთი თანახმაა, იაპონიის ინტერესებს კორეაში უპირატესობა მიეცეს და მანჯურიაშიაც იაპონიის ინტერესებს არაფერი არ დაუშავდებაო. მემორანდუმის გარჩევის შემდეგ სამინისტრომ დაადგინა, რუსეთმა ისეთი პასუხი შემოთვალა იაპონიის წინადადებაზე, რომ მოლაპარაკების განგრძობა აღარ შეგვიძლიაო. ბარონმა კომურამ სამინისტროს დადგენილება იმპერატორს წარუდგინა განსახილველად. მეორე დღეს ბარონმა კომურამ ბარონი როზენი ნახა და სამინისტროს დადგენილება სიტყვიერად გადასცა და არა წერილით, რა არის, ეგება რუსეთმა აზრი შეიცვალოს და სადავო საქმეს სხვა თვალით შეჰხედოსო.

იაპონიის მზადება საომრად

თუმცა ყველანი ირწმუნებიან, შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდებაო, იაპონია მაინც ბეჯითად ემზადება საომრად. „კობე ქრონიკლ“-ი იუწყება: „ნავთ-სადგურებში მხნედ მუშაობენ, გემებს საომრად ამზადებენ. ყველა ამ თადარიგს მარტო სიფრთხილის გულისათვის იჭერენ. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი ომს არ გამოაცხადებს. იმედი აქვთ, იაპონია და რუსეთი მორიგებით გადასწყვეტენ თავიანთ დავასაო.

გაზ. „ზიზი“ სწერს: „იაპონიის სამხედრო და საზღვაო მოხელენი დღე და ღამ მუშაობენ და საომრად ემზადებიან. თუმცა ეს მზადება ომის დაწყებას არ მოასწავებს, მაგრამ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ამდენს ხარჯს ტყუილ-უბრალოდ არ ეწევა მთავრობა“.

იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოებაც ემზადება, რომ, ვინიცობაა ომი მოხდეს, დაჭრილებს დახმარება გაუწიოს.

იაპონიის ეხლანდელი მინისტრები

იაპონური გავლენიანი პოლიტიკური გაზ. „ნიხონ“-ი სწერს: ეხლანდელ მინისტრებს ზოგი აქებს, ძალიან კარგად იქცევიანო, ზოგი აძაგებს, მეტად სუსტსა და გაუბედავს პოლიტიკას ადგანანო. მაგრამ მთელ იაპონიის ხალხს მაინც გულწრფელად უყვარს და მოსწონს ეხლანდელი სამინისტრო. ჯერ არც ერთ სამინისტროს არა ჰქონია ასეთი სახელი, როგორც ეხლანდელსა აქვსო. ხალხის ასეთი აღტაცებული სიყვარული იმით აიხსნება, რომ ეხლანდელი სამინისტრო მეტად კარგადაა შედგენილი, ყოველი მინისტრს თავის ნიჭის შესაფერი ადგილი უჭირავს. ამას გარდა სამინისტრო სავსებით ეთანხმება იაპონიის ხალხს, რომ მანჯურიის საქმე დაუყოვნებლივ, საბოლოოდ უნდა გადასწყდესო.

გაზეთი ასე ახასიათებს ეხლანდელ მინისტრებს: „გარეშე საქმეთა მინისტრი კომურა ახალგაზრდა, გაბედული და მეტად მოსწრებული კაცია. სამხედრო მინისტრი ტერუჩი—დიდი მცოდნეა სამხედრო საქმისა და თავის სამინისტროს კარგად უძღვება. საზღვაო მინისტრი იამამატო ძალიან ნიჭიერი კაცია, ჯერ ასეთი ნიჭიერი საზღვაო მინისტრი იაპონიას არა ჰყოლია; შინაგან საქმეთა მინისტრი კოდამა მეტად გამოცდილი და ნიჭიერი ადმინისტრატორია, ხალხსაც ძალიან უყვარს; პირველი მინისტრი კაცურაც მეტად სახელის მოყვარე, გამჭრიახე და გაბედული სახელმწიფო კაცია. პირველი მინისტრი ბეჯითად უგდებს ყურს საზოგადოებისა და ხალხის აზრსა და სურვილს.

გაზეთი ირწმუნება: „თუ მოლაპარაკება სასურველად არ დასრულდა, სამინისტრო უეჭველად ომს გამოუცხადებს რუსეთსაო. ჩვენ ხალხსაც სწორედ ამიტომ უყვარს ეხლანდელი მინისტრები. ეხლანდელი მთავრობა აღარ შესცდება, ჰკუას არ წააგებს ისე, როგორც მარკიზ იტოს სამინისტრომ წააგო იაპონია-ჩინეთის ომის შემდეგ 1894 წელს. მაშინ იაპონიამ რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის ძალდატანებით ჩინეთში დაპყრობილ ადგილებზე ხელი აიღო, ასე რომ შესანიშნავმა გამარჯვებამ სულ ფუჭად ჩაუარა. ეხლანდელი მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, რომ მოლაპარაკება ჩვენთვის საზარა-

ლოდ არ დასრულდეს და იაპონიის სახელსა და ღირსებას ნამცეცი ლაქა არ მოეცხოს; თუ საქმე გასჭირდა, ომსაც არ მოერიდება. იაპონიის ხალხიც მაგრად დაუჭერს მხარს მთავრობას და არა მსხვერპლს არ შეუშინდება, ოღონდ ამ საქმეში თავისი გაიტანოს და რუსეთის ჯავრი ამოიყაროს“.

ფინანსთა მინისტრის როზანოს თავის მოკვლა

ჩვენ მოხსენებული გვქონდა, იტალიის ფინანსთა მინისტრმა როზანომ თავი მოიკლაო. ამის თაობაზე „სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ შემდეგი დეპეშა მოჰსვლია რომიდან: „27 ოქტომბერი. დღეს დილით ნეაპოლში ფინანსთა მინისტრმა როზანომ თავი მოიკლა. სოციალისტებმა ბევრი რამ ცუდი საქმე დააბრალეს როზანოს და დაემუქრნენ, რაწამს დეპუტატთა პალატა გაიხსნება, ყველაფერს გამოვაცხადებთო, როზანო შეშინდა და თავი მოიკლა. ამ ამბავმა აქაური პრესა და საზოგადოება აალევა და აალაპარაკა“.

ტისას სიტყვა ჰუნგრეთის დეპუტატთა პალატაში

სენატის შემდეგ, გრაფ ტისამ თავისი პროგრამა დეპუტატთა პალატასაც გააცნო. ტისამ სრული ორი საათი ილაპარაკა და თითქმის იგივე სთქვა, რაც მაგნატების პალატაში ილაპარაკა. პირველში ზოგიერთი დეპუტატი ყვირილით სიტყვას აწყვეტინებდა ტისას, მაგრამ ორატორმა მჭახე ხმით უპასუხა: „ყვირილით, ვიცი, მაჯობებთ, მაგრამ სიმართლის თქმას მაინც ვერ დამიშლით. გეტყობათ, სხვა იარაღი არა გაქვთ-რა, რომ მაგისთანა უხეირო ფარხმალით გამოდიხართ (ყვირილით)“. ამ სიტყვების შემდეგ ოპოზიცია გაჩუმდა. პირველმა მინისტრმა ლაპარაკი განაგრძო და მთელი პალატაც სულ-განაბული ისმენდა ორატორის სიტყვას. ტისამ ასე დაასრულა ლაპარაკი: „ვთხოვ ყველა დეპუტატს, ახსოვდეს, რომ აქ ყველანი ჰუნგრები ვართ და სახელმწიფო ინტერესებს საპარტიო დროებით წვრილმან ინტერესებზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ. ყოველმა ჰუნგრმა-პოლიტიკოსმა ჩვენის კონსტიტუციის სახელი და ღირსება უნდა დაიცვას და ეცადოს, რომ ეს კონსტიტუცია წესიერად, დაუბრკოლებლად მოქმედებდეს“. ლიბერალურმა პარტიამ დიდი ტაშის ცემა ასტეხა.

როცა ტისა ლაპარაკობდა, კოშუტის პარტიის წევრმა ედმონდ ბარტმა დაიძახა: „თუ ავსტრიის პირველ მინისტრს კერბერს გააგდებენ, ჩვენ ძლიერ გაგვიხარდება“. ტისამ უპასუხა: „დავიჯეროთ, რომ ეს სიტყვები ედმონდ ბარტს წამოსცდა! საშინლად მიკვირს, რომ ასეთმა გავლენიანმა დეპუტატმა ასე ცუდად მოიხსენია ავსტრიის პირველი მინისტრი!“ (მარჯვენა პარტია ტაშს უკრავს). კოშუტის პარტიის მეორე წევრმა პოლსნერმა შენიშნა: „ავსტრიაში ჩვენ უფრო ცუდათაც გვიხსენიებდნენ!“ ტისამ მიუგო: „მართალია, იქაც გვიხსენიებდნენ ცუდად, მაგრამ იმ დეპუტატებსა და ედმონდ ბარტს შუა დიდი მანძილი ძევს“-ო.

ამის შემდეგ ტისამ თავისი სიტყვა განაგრძო და, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, პალატამ დიდის ყურადღებით მოისმინა იმისი ნალაპარაკევი.

ახალი ამბავი

◆ **სათავად-აზნაურო სკოლის** ამშენებელმა კომიტეტმა ვერაზე ახალ შენობას დაადგა მეოთხე სართული და მალე გადაჰხურავს კიდეც. ამ ცოტა ხანში შეუდგებიან ეკკლესიის დამთავრებას. კომიტეტს იმედი აქვს შენობა ზაფხულამდე გადახუროს. შემდეგ შინაგან გამშვენიერებას შეუდგება.

◆ 1904 წლიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს **გაამრავლოს სადგურებზე** მოძრაობისა და ტელეგრაფის ნაწილის მოსამსახურეთა რიცხვი.

◆ როგორცა ვწერდით, საფინანსო კომისიამ დაამთავრა 1904 წლის **შემოსავალ-გასავლის** სავარაუდო აღრიცხვის განხილვა და გუშინ წარუდგინა იგი ქალაქის გამგეობას. მომავალ წელს შემოსავალი მოსალოდნელია 1,502,945 მან. კომისია არ ეთანხმება გამგეობას საუნივერსიტეტო თანხიდან 60,000 მან. სესხად აღების შესახებ. კომისიის აზრით, საუნივერსიტეტო თანხა შეიძლება სხვა უკეთეს საქმეს მოხმარდეს, მაგალითად, სკოლებისათვის შენობების აგებას.

◆ ამას წინად ვაჭრებმა სთხოვეს ხორცის დუქნების გამგე კომისიას, **ვერაზე სასწორთან ადგილი** დაეყო ნაჭრებად და იჯარით მიეცა იმათთვის სავაჭროების გასამართავად. კომისიამ ეს თხოვნა განიხილა 31 ოქტომბერს და, რადგან არავითარი ძალა არა ჰქონდა ხელთ, დაავალა თავმჯდომარეს ბ-ნ ევანგულოვს, შეადგინოს გეგმა და მოხსენება ამ საქმის თაობაზე.

◆ პეტერბურგში 8 ნოემბრიდან 8 იანვრამდე გაიმართება **საერთაშორისო გამოფენა**. ამ გამოფენაზე გამოჰფენენ ყველა იმას, რაც კი შეეხება ბავშვის აღზრდასა და სწავლა-განვითარებას. გამოფენის კომიტეტმა, სხვათა შორის, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს სურათები ბავშვთა თავშესაფარებისა, ახალ შენობებისა, სანატორიებისა, სასადილოებისა, ანგარიშები ბავშვთა აღზრდა-სწავლაზე და სხვ.

◆ ბ-ნ ზუბალაშვილების საფასით აგებულის **სახალხო სახლის** შენობა უკვე დაამთავრეს. შეუდგნენ სცენისა და დარბაზის თაღების კეთებას.

◆ ხორცის დუქნების გამგე კომისიის სხდომაზე გამოირკვა, რომ ქალაქში **ხორცი ძალიან ძვირად იყიდება** თურმე, ფუთი 3 მან. 50 კაპ. კომისიამ თავის წევრს, ექიმს ქანანოვს, დაავალა გამოიკვლიოს მიზეზნი ხორცის სიძვირისა.

◆ ყარსის ოლქის ბეითალი ნიკ. ზახაროვი დაინიშნა **ზაქათალის ოლქის ბეითლად**.

◆ 10 დეკემბერს, როგორც „ნ. ო.“-ს გაუგია, ქუთაისში მოხდება ქუთაისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა კრება** თანამდებობის კაცთა ასარჩევად.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი რუსული წიგნები: 1. Позем. устройство госуд. пос., пер. и нѣм. колон., водворенныхъ на казенныхъ земляхъ въ Закавказьѣ“, გამოცემული თავ. გ. ნ. დისამიძის მიერ ფ. 50 კაპ.

2. „Труды V-го съѣзда марганц. въ гор. Кутаисѣ съ 7 января по 1 фев. 1903 г.“

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს მე-X ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა:

ვირი დ. სოფლელი ლექსი—აკაკისა. მხედარი, იგავი—ალ. მირიანაშვილისა. მერცხლობანა, პატარა ამბავი—მარიამ დემურიასი. „ლამაზა“ თარგმანი—ფეფო კობახიძესი. მეფე და გლახა თარგმანი—ვლადო ბზვანელისა. ორი ვაჭარი თარგმანი—თორნიკესი. თითისტარი, საფეიქრო მაქო და ნევსი, გრიმის ზღაპარი თარგმანი—ალ. ნათაძესი. საუბარი ცხოველებზე პოლბერისა—კოტესი. ვასოს საიდუმლო თარგმანი (დასასრული)—ს. ციციშვილისა. პატარა ქურდი ამბავი—სილ. თავართქილაძისა. პირველი ექიმი ქალი, ელისაბედ ბლეკუელი (შედგენილი)—ან. წერეთლისა. ძველი ისტორია-ერნესტ ლავისისა, (გერმანია და იტალია საშუალო საუკუნოებში) თარგმანი—ნ. შენგელიასი. საშიში მეგობარი (რუსულიდან)—ტასოსი. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული ამოცანა, სიტყვების ამოცანა, ჩქარა-გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და სხვ.

◆ როგორც ტფილისის სააუქციონო ზალის გამგის ანგარიშიდანა სჩანს, სააუქციონო ზალაში ნივთების გაყიდვით 1 იანვრიდან ოქტომბრის დამლევამდე შემოსულა 33,026 მან.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის „თეატრში“ დაბეჭდილია: „თუ ემურებოდნენ, რატომ ისე მაინც არ წარმოადგინეს, რომ საზოგადოებას თეატრში მისვლით თავბედი არ ეწყევლა“. უნდა იყოს: „რას ემურებოდნენ ამ პიესის წარმოდგენას, თუ ემურებოდნენ“ და სხვა.

იმავე ნომრის ფელეტონში, მესამე სვეტის მესამე გვერდზე, დაბეჭდილია: „ინგლისის საქონელი ვერც საფრანგეთის, ვერც გერმანიისა და ვერც სხვა რომლისამე კუთხის საქონელს გვერდში ვერ ამოუდგება“. უნდა იყოს: „ინგლისის საქონელს... სხვა რომელისამე კუთხის საქონელი გვერდში ვერ ამოუდგება“.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერს ლისოვსკის სასამართლომ მიუსაჯა ორის კვირით დაპატიმრება სამხედრო საპატიმროში.

◆ ქალაქის გამგეობამ დააბეჭდვინა და ამ დღეებში დაარიგებინებს სავალდებულო დადგენილებათ შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა დაცულ იქმნას სისუფთავე და წესები აბანოებსა, საპარიკმახეროებსა და სადალაქოებში. ამ სავალდებულო დადგენილებათა ძალით აბანოებისა და საპარიკმახერო-სადალაქოების მოვლა-შენახვის ეხლანდელი წესები ბევრად შეცვლილი და გაუმჯობესებულია. კარგი იქნება, თუ ეს წესები შეასრულეს, მაგრამ ვაი თუ ამ სავალდებულო დადგენილებებსაც ისე მიაქციონ ყურადღება, როგორც აქცევენ ყურადღებას ყასბები და მეფურნეები კარებზე გამოკრულ ხორცისა და პურის ნიხრს.

◆ სამთო ინჟენერი ბ-ნი ნ. ალიბეგოვი ჰპირდება ქალაქს, თუ მე გადმომცემთ ქუთაისში ელექტრონულ ტრამვაის გაკეთების კონცესიას, რვა თვეში ყველაფერი მზად მექნებაო. შესძლებს ამას ბ-ნი ალიბეგოვი,

ფელეტონი

პატარა ამბები

რა უფრო მეტი ბედნიერებაა?—იმერი და ამერი.—ვითომდა ეხლანდელის ჰამლეტის მონოლოგი.—მისალმება ბ. სუნდუკიანცს.

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! ყველა უნჯი, ყველა მუნჯი!..“—ცდება პოეტი! ეგ სიმუნჯე რომ გვქონოდა, ხშირად არ ვიქნებოდით ისე უბედურნი, როგორც დღეს ვართ... ენა—ეს უმშვენიერესი ღირსება ადამიანისა, უდიდესი ნიჭი, რომლითაც დაუჯილდოვებია იგი ბუნებას, უძლიერესი იარაღი ადამიანების სულთა ერთმანეთთან დასაახლოვებლად და დასაკავშირებლად, ენა—სიმართლის მეტყველი, რომელიც ქუხილივით უნდა გაისმოდეს, როდესაც ადამიანის უფლება შელახულია,—ეს ენა ჩვენ მიტომ გვაქვს, რომ ვიცრუოთ, ვიგლახაკოთ, უფრო და უფრო ძირს დავეცეთ!..

მე გამახსენდა ამას წინად წაკითხული ამბავი: ამ ზაფხულს ს. ალში მაზრის უფროსი მივიდა და სოფლელებმა ერთს იქაურ ჩარჩსა და მევახშეზე შესჩივლეს, დაგვახჩო, დაგვღუპა, ტყავი გაგვაძროო. მაზრის უფროსიც დახმარებას დაჰპირდა ხალხს, საჭირო ზომებს მივიღებო. მაგრამ როგორც კი გაბრუნდა მაზრის უფროსი სოფლიდან, მევახშემ დიდი სადილი გამართა, დაჰპატიჟა სოფლელები, გააძღო, დაათრო და თანაც შემდეგის „სადღეგრძელოთი“ მიმართა ყველას: „მოილხინეთ, ძვირფასო მეზობლებო და ძმებო, ჩემო დამტირებელნო, მე უთქვენოთ ერთს დღესაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. ვიცი, სხვებმა გაგაბრიყვეს, შეგაცდინეს, მაგრამ ეხლა, იმედია, ყველანი ხედავთ, რომ შეცდით, რომ მეც ისე სასარგებლო და საჭირო ვარ თქვენთვის, როგორც თქვენ ჩემთვის. გიჭირთ, სიკვდილი მოგადგებათ კარზე, ან სიმშილი, ან სხვა უბედურება, მე მზათა ვარ, ხელი გაგიმართოთ ყოველთვის, წაიღეთ ფული. სარგებელს ბევრს გახდევინებთ? მაგრამ ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. თუ წარმოიდგენთ თქვენს გაჭირვებას, მაშინ ჩემი სარგებელი სრულებით არ არის დიდი. დიდს სარგებელს მეც იმიტომ გახდევინებთ, რომ მეტად გიჭირთ და თქვენს გაჭირვებას ვაფასებ; რომ არ გიჭირდეთ, განა დიდს სარგებელს ავიღებდი? ვერ ავიღებდი. თქვენი გაჭირვება და ჩემი სარგებელი ერთია, ერთი მეორეს უდრის. მოდიხართ ჩემთან დუქანში, არაყი გინდათ, ნავთი, საპონი და სხვა რამ, ყოველთვის მზათა ვარ, ხელი მოგიმართოთ, ნისიათ მოგცეთ. მართალია, ხანდახან არაყში პილპილსა ვყრი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ არაყმა მალე დაგათროთ და ძლიერაც დაგათროთ, და თქვენც ხომ ეს გინდათ. ან შეიძლება, საქონელს ძვირად ვყიდი? მართალია, მაგრამ აქ უნდა განვიმეორო ის, რაც წინად ვთქვი: სიძვირე გაჭირვებაზე ჰკიდია... ერთი სიტყვით, ისე ვიქცევი, როგორც კანონი და სამართალი მოითხოვს. მე რომ აქედან გამაძევოთ, სხვა მოვა, სხვა კიდევ უარესს გიზამთ. და მე თუ მთლად არ გახჩობთ, მთლად არ გაძრობთ ტყავს, მთლად არ გართმევთ ყველაფერს, დიდათ მადლობელი უნდა იყოთ ჩემი და აფასებდეთ ჩემს მოღვაწეობას... აი მთელი ძროხა თქვენთვის დამიკლავს, ამდენი ღვინო მომიტანია! იქეიფეთ, ძმებო! იქეიფეთ და მართალი სთქვით! ურაა, ჩემი სადღეგრძელო იყოს!“ ნასვამმა ხალხმაც შესძახა და რამდენიც ქეიფში შევიდნენ, იმდენი მათ გამტყავებელს მევახშეს აქებდნენ...

ამისთანა ამბავი აღარ გვიკვირს, ყოველდღიურ მოვლენად გადაგვექცა, და ხომ ჩვენის საკუთარის სისხლითა და ხორცით შეზავებული ანდაზაა: „შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს სჯობიაო“. ეს ანდაზა, ალბად, სპარსელებმა დაგვიმკვიდრეს სხვა ათას ბედნიერებასთან ერთად. ჭირი გვირჩენია იმიტომ, რომ **ძველია**, შეჩვეული და ლხინი გვეზარება იმიტომ, რომ **ახალია**, შეუჩვეველი. დედამიწაზე მეორე ერი არ მოიძებნება, რომ ამისთანა ახირებული ანდაზა შეექმნას. სხვაგან ლხინი უყვართ, როგორც ლხინი და მით უფრო მეტის ძალით მიისწრაფვიან მისკენ, რამდენად იგი ახალია. სხვაგან ჭირია ჭირია და კიდევ უარესი, თუ იგი ძველია! სხვაგან ენა მადლია, ჩვენთვის?..

* *

ერთი ქართველი მწერალი ადარებს ერთმანერთს ქართლელისა და იმერლის ცხოვრებას, ზნეს და ხასიათს აღმოსავლეთის და დასავლეთის ქართველისას. მეტი უძრაობა, უკან ჩამორჩენა, დაცემა და დაქვეითება აღმოსავლეთ საქართველოშიაო. „ქართლელი ტლანქია და გაუთლელი და მისი უბედურებაც ამაშია, იმერლის უმთავრეს თვისებას-კი მოძრაობა და ცნობის-მოყვარეობა შეადგენს.“ „ქართლელი გარედ გაუსვლელი და შინ ჩაკეტილია, სიცოცხლით და ენერგით სავსე იმერელს-კი შორეულ-აღმოსავლეთიდან ევროპის კიდემდე შეხვდები, იგი დაბრკოლებას არ უდრკის, მთასა და ბარს ჰლახავს და ქვეყნიერებას სწავლობს, სიმდიდრეს იძენს,“ „ქართლი გარეგნობით აქამომდე ისევ ოხრებულია და მოუწყობელი; მეტადრე რკინის გზის პირად მდებარე სოფლები მურვან-ყრუს დროის სანახავს წარმოადგენენ. იმერლის სახლსა და კარს უფრო ატყვია „კულტურული ხელი“, იმერს უფრო მეტი ამჩნევია ნაყოფიერის შრომისა და გარჯის მადლი; ვაგონიდანვე მგზავრის ყურადღებას იპყრობს იმერის სახლის სისუფთავე და სილამაზეო“ და სხვ.

სად უფრო ჰგრძნობს ადამიანი ჩვენს ეკონომიურს დაქვეითებას მარტო-კი არა, ჩვენს სულიერს, ზნეობრივს დაბეჩავებას? რასაკვირველია, აღმოსავლეთ საქართველოში! ეს ახლად შენიშნული ამბავი არ არის; დიდი ხანია, ჩვენმა მწერლობამ აღნიშნა იგი. განსაკუთრებით თვალებში უნდა ეცეს იმერის და ამერის ცხოვრების განსხვავება იმ ქართლელს, რომელიც დიდ-ხანს არსად წასულა ქართლიდან და შეიძლება პირველადაც ჰხედავს იმერეთს. სულ სხვა ჰაერია იქ, სხვანაირად მოქმედებენ ადამიანები ბუნებაზე, სხვა ნაირად უცქერიან და ეპყრობიან ერთმანერთს: ჰაერი არ არის ისე დახუთული, უძრავი, ბუნებას ისე არ დაუმონებია ადამიანი, ადამიანი იწყებს თავის უფლების დაცვას. რა არის ამის მიზეზი? აქ მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ, სულიერ თვისებებს იმერისა და ამერისას და საზოგადოებრივ პირობებს, რომელშიაც იმყოფება ერთი და მეორე.

იმერელი მეტად მოძრავი, მგრძნობიერი ადამიანია. იგი ყველაფერს ადვილად ჰგრძნობს, ადვილად შეიგნებს საგანს, თუმცა, შეიძლება, ისე ღრმად ვერ ითვისებს. ამისთვის უჭირს მას ძველის ჭირის ატანა. ვერც სიცივე, ვერც სიმშილი ვერ აუტანია, გაურბის გაჭირვებას, სოფლიდან ქალაქში, ერთის ქალაქიდან მეორე ქალაქში, მაშინ, როდესაც ქართლელი ფილოსოფიურად, მოთმინებით იტანს შევიწროებას. თუ იმერლის ზნეში კარგი თვისებაა, ქართლელის ზნეც მოსაწონია მეორეს მხრით, რადგან მასში გამოიხატება ხასიათის სიძლიერე და სიმტკიცე.

ქართლელი სუსტად ჰგრძნობს ყველაფერს, ნელა ითვისებს, თუმცა, რასაც ითვისებს, ითვისებს ღრმად. აქედან წარმოსდგება, რომ თავის გულში უფრო ცხოვრობს, თითქოს გულდია არაა, ცხოვრობს საკუთარის, შინაგანის ცხოვრებით. ფიქრობს, უკვირდება საგანს, მაგრამ ამ ფიქრისა და დაკვირვების პროცესი დიდხანს გრძელდება და ადამიანი, რომელშიაც ასეთი პროცესი ხდება, ისე გულგაშლილი, ლაპარაკის მოყვარული არ იქნება, იგი ასე ადვილად არ გაგინაწილებთ თავის აზრებსა და ფიქრებს, რადგან ყოველს მის აზრსა და ფიქრამდის დიდი მანძილია და ამ მანძილის გავლა ძნელია. იმერელი კი სწრაფად და ძლიერად გრძნობს, ყველაფერს მალე მოისაზრებს, ამ სისწრაფისა და სიძლიერისა გამო *) იმერის

---

*) ადვილად შეიძლება, რომ გრძნობა ძლიერი, ძლიერი თავში, არ იყოს ღრმა და ხანგრძლივი.

თუ ვერა, ამის შესახებ არას ვიტყვი, მაგრამ არა მგონია, ბ-ნ მიხაილოვისაგან დაშინებულმა ქალაქმა ეხლაც სხვას ჩაუგდოს ხელში ეს მომგებიანი საქმე. მაგრამ ჯერ ხომ ისიც არ იცის კაცმა, ბ-ნ მიხაილოვთან დადებულ პირობას კიდევ აქვს ძალა, თუ არა. ამ უკანასკნელი საკითხის გამოსარკვევად ამ დღეებში მოწვეულ იქმნება საბჭოს მიერ ამორჩეული კომისია.

◆ გამოვიდა და დაურიგდა ქუთათურ ექიმებსა და ზოგს გარეშე პირთაც სამსონ თოფურიას საავადმყოფოს ანგარიში, რომელიც შარშან მოკლედ იყო წაკითხული ქუთაისის საექიმო საზოგადოების კრებაზე. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, საანგარიშო დროს განმავლობაში საავადმყოფოში ყოფილა სულ 4702 ავადმყოფი, აქედან 2847 მამაკაცი და 1855 ქალი. ავადმყოფნი წოლილან საავადმყოფოში 104,358 დღეს; ამ რიცხვში 16,346 დღეს ავადმყოფნი უფასოდ წოლილან. საანგარიშო დროს განმავლობაში საავადმყოფოს საამბულატორო განყოფილებაში გაუსინჯავთ სულ 53,039 ავადმყოფი, ამათგან 8459 ავადმყოფი უფასოდ გაუსინჯავთ. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საავადმყოფოს მოქმედება 12 წლის განმავლობაში ერთი-ათად ქცეულა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნ თოფურიას საავადმყოფო კარგადაა მოწყობილი.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამ დღეებში ვლადიმირის საპატიმროდან დღისით სამს საათზე ერთი ტუსაღი გაპარულა. ძებნის დროს მოჰგონებიათ, რომ გაპარულ ტუსაღს ქალაქში მეგობარი ქალი ჰყავს. შეუცვივდნენ ქალს სახლში. გაჩხრეკის დროს ყურადღება მიუქცევიათ ოთახში დივნისთვის. დივანი ახალი ყოფილა, მაგრამ დაფხრეწილი და დახეული. აღმოჩენილა, რომ დივანი წინადღით სამს საათზედ მიუტანიათ საპატიმროს სახელოსნოდან. გაკეთების დროს დივანში მოუმწყვდევიათ ტუსაღი. სამ საათზე დივანი ტუსაღით გამოუტანიათ საპატიმროდან, ჩაუტარებიათ ქალაქის უმთავრეს ქუჩებში, სხვათა შორის, საოლქო სასამართლოსა და გუბერნატორის სახლთან, და მთელი ხალხის თვალ-წინ უვნებლად გადაუტანიათ ქალაქის მეორე კუთხეში. გაქცეულს ტუსაღს ეძებენ, მაგრამ ვერ უპოვნიათ.

◆ ამ ბოლო ხანებში ვილნოს სამხედრო ოლქის ყაზარმებში ძალიან ბევრი იკარგება თურმე სახელმწიფო თოფი. სამხედრო ოლქის უფროსს ბრძანება გაუცია: უფროსი ოფრთხილებს როგორც ჯარის-კაცთ, ისე ოფიცრებს და სასტიკს სასჯელით ემუქრება თოფის დამკარგველ ჯარის-კაცსა და მათ უფროსებს.

◆ ვაზნესენიეში „ნ. პრავდინა ს—ვეი“-ს ქარხანაში საშინელი აფეთქება მომხდარა, რომელსაც დაუნგრევია მთელი შენობა. აფეთქება მუშაობის გათავების დროს მომხდარა და მუშები შენობიდან გასული ყოფილან, მაგრამ უმსხვერპლოდ მაინც არ ჩაუვლია: მოკლულია სამი და სამიც მძიმედ დაშავებულაი.

◆ ვილნოს სამხედრო სასამართლომ ჯარის-კაცს პ. ანოტის, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული როტის კამანდირის სრედნევის მძიმედ დაჭრისათვის, გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა. 24 ოქტომბერს ჩამოუხრჩვიათ კიდევაც.

◆ ერთს საგუბერნიო ერობას აღუძრავს შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე. თხოულობს დაარსდეს ფონდი, საიდანაც სესხი უნდა ეძლეოდეს შეღავათიან პირობებით ერობათა და ქალაქებს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობის ასაგებად. სამინისტროს ერობებისა და ქალაქებისათვის უთხოვნია, წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი შემდეგ საკითხზე: 1. სთვლიან თუ არა საჭიროდ ასეთ ფონდის დაარსებას; 2. გარდა ხაზინისა, რომელ წყაროებიდან უნდა დაარსდეს ასეთი ფონდი; 3. ვისა, რა ვადით და საბუთით უნდა მიეცეს ამ ფონდიდან სესხი; 4. რამდენ სესხს საჭიროებს თითვეული გუბერნია.

◆ შარშან სამთო დეპარტამენტმა ურალის სახაზინო სამთო ქარხნებში გაჰგზავნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, როგორ და რამდენად შესაძლებელია სახაზინო ქარხნებში ტეხნიკის გაუმჯობესება. როგორც „პერმ. გუბ. ვედ.“ იუწყება, კომისია იმ დასკვნამდის მისულა, რომ სახაზინო ქარხნებში თუჯის წარმოების გაფართოვება არ არის საჭირო, პირიქით, უნდა შემცირდეს, რათა ზარალი არ მივცეთ კერძო სამთო მრეწველობის წარმოებასაო.

◆ როგორც „ოდ. ლ.“-ი იუწყება, კიშინევიდან ებრაელები ისევ იხიზნებიან. უმეტეს ნაწილად მიდის ღარიბი ხალხი: წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და მუშები.

◆ პეტერბურგში დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდება კრებები, რომელზედაც განიხილავენ საკითხს პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სხდომები იმართება საექიმო გამგეობის ინიციატივით.

◆ რუსეთის ბევრ ქალაქში არსდება ვეგეტარიანების წრეები. პეტერბურგის ვეგეტარიანთა წრეს ამ ჟამად 119 წევრი ჰყოლია. ასეთი წრეები ყოფილა ვარშავასა და მოსკოვში, სადაც, 3 ვეგეტარიანული სასადილო დაუარსებიათ. სასადილოს დაარსებას პეტერბურგშიაც აპირებენ. ახალის წლიდან გამოსცემენ აგრეთვე ყოველ თვიურ ჟურნალს „ვეგეტარიანსკი ვესტნი“-კს.

პრესსა

პეტერბურგის გაზეთები ბევრსა სწერენ ამ ჟამად ვისბადენში იმპერატორების შეხვედრის შესახებ. ზოგი გაზეთი ამ შეხვედრას დიდ პოლიტიკურ მოვლენად სთვლის, ზოგიც უბრალო თავაზიანობით ხსნის. სხვათა შორის, „გრაჟდანინ“-იც იმ აზრისაა, რომ ხსენებული შეხვედრა იმპერატორებისა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტია. ამ აზრს თავ. მეშჩერსკი ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა დიდი ხანია არ ყოფილა ისე გამწვავებული, როგორც დღესაო.

> მართლაც, საკმარისია გავიხსენოთ, რა ჰხდება ახლა საერთაშორისო პოლიტიკაში, და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სახელმწიფონი დიდი ხანია აღარ ყოფილან ასეთს ძნელსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში. ხოლო თუ ღრმად ჩავუფიქრდებით საქმეს, ცხადი შეიქმნება, რომ ყველაზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში რუსეთია; არასოდეს მის დიპლომატიას ამოდენა გამწვავებული საკითხი არა ჰქონია გადასაწყვეტი. განა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ასეთს დროს იმპერატორების შეხვედრა უბრალო თავაზიანობის მოტივით იყოს გამოწვეული? სწორედ დღეს გამწვავდა აღმოსავლეთისა და ევროპის საკითხები; სწორედ დღეს არ ვიცით, რას უნდა მოველოდეთ ინგლისისა და ამერიკისაგან; სწორედ დღეს შეიქმნა შესამჩნევი, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესასუსტებლად ენერგიულად და არა უნაყოფოდ მუშაობენ. ასეთს გაჭირვებაშია რუსეთი და ამიტომ შეუძლებელია, რომ მის გარეშე პოლიტიკის უმთავრესი ხელმძღვანელი უბრალო ვიზიტს უხდიდეს გერმანიის იმპერატორს.

⁂

ცენტრის გალატაკების საკითხის შესახებ „რუსსკ. ვედომ.“-იც ეთანხმება სხვა გაზეთების აზრს. გაზეთი ამბობს:

> ცენტრის შესახები საკითხი, ჩვენის აზრით, დიდ-მნიშვნელოვანი და დიდად საინტერესო საკითხია და ყველაზე უწინარეს შეეხება რუსეთის გლეხობის კეთილ-დღეობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ცენტრის გალატაკების მიზეზები ბევრად უფრო ღრმაა და არ მოთავსდება ცენტრისა და განაპირა ქვეყნების ურთიერთობის საკითხის ვიწრო ფარგალში. ეს მიზეზები შეკავშირებულია ჩვენის გლეხობის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობის ყველა პირობებთან; და ამიტომ ხსენებულ გალატაკების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა მთელი სისტემა ძირითად რეფორმებისა, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მთელ სახელმწიფოს ცხოვრების ვითარებასთან.

⁂

რუსეთის რკინის გზებზე მომხდარ უბედურებათა სტატისტიკა თურმე ამტკიცებს, რომ ამ მხრით საქმე თან-და-თან უარესდება და არა უკეთესდება. 1891 წელს რკინის გზებზე მოკლულთა რიცხვი, მარტო ევროპის რუსეთში, ყოფილა 658, დაჭრილთა—1533; ათის წლის შემდეგ-კი, 1901 წელს მოკლულთა რაცხვია 1422, დაჭრილთა—7355 კაცი. იქმნება ვინმემ იფიქროსო, ამბობს „კიევლიანინ“-ი, რომ 10 წლის განმავლობაში რკინის გზების გადიდებისა გამო მოგზაურობაც გაძლიერდა და უბედურ შემთხვევათა რიცხვიც მეტი უნდა იყოსო, მაგრამ

> თუ შედარებით ვიანგარიშებთ, მივიღებთ შემდეგ სამწუხარო ცნობებს: 1891 წელს ერთ მილიონ მატარებელ-ვერსტზე მოდიოდა 4,9 მოკლული და 7,6 დაჭრილი; 1900 წელს-კი ერთ მილიონ მატარებელ-ვერსტზე მოდიოდა 5,3 მოკლული კაცი და 13.0 დაჭრილი. საზოგადოდ, დაშავებულთა რიცხვის შესახებ უარესი ცნობებია: 1898 წელს ერთ მილიარდ მგზავრ-ვერსტზე 23,6 დაშავებული მოდის, 1901 წელს—63,9 დაშავებული. ასე რომ 1899 წელს 400 ათას მგზავრიდან ერთი იღუპებოდა, 1901 წელს-კი ერთი იღუპებოდა 140 ათას მგზავრიდან.

როგორც ჰხედავთ, საქმე ჩქარის ნაბიჯით უარესდება და, თუ ასე პროგრესიულად იმატეს რკინის გზებზე მომხდარ უბედურ შემთხვევათ, მალე რუსეთში რკინის გზით მოგზაურობა შეუძლებელი გახდება.

გრძნობა და ფიქრი ყოველთვის გარედ გამოხეთქავს. ამერს რამდენიმე დღე შეუძლია იჯდეს და იფიქროს და იფიქროს მხოლოდ, იმერი კი ყოველს წამს ახალს გრძნობას ჰგრძნობს და არ შეუძლიან დაუყოვნებლივ არ გადასცეს იგი სხვებსაც, არ გაუნაწილოს სხვებს თავისი დარდები და ფიქრები, უყვარს ლაპარაკი, საუბრობა, სხვებთან ცხოვრება, ტრიალი, თავის გამოჩენა, ინსტიქტიური ძალა მიიზიდავს სტიქიურად საზოგადოებისაკენ, სხვებისაკენ. ამიტომაცაა, რომ იმერს ასე უყვარს ლამაზი ტანისამოსი, სახლ-კარის კარგად მოწყობა და ყველაზე უწინარეს გარედან. იგი ისეთი ადამიანია, რომელიც ყველაზე უწინარეს გარეგნულის, გაშლილის ცხოვრებით ცხოვრობს.

მეტად ცოცხალი, მგრძნობიერი ბუნება, აი უმთავრესი თვისება იმერლისა: აქედან წარმოსდგება, რომ იგი ადვილად ვერ ურიგდება ცხოვრების ცუდს პირობებს. აქედან წარმოსდგება ისიც, რომ იგი ადვილად ითვისებს თანამედროვე კულტურას. ამას ზედ ერთვის კარგი, ხელის შემწყობი გარეგანი პირობები: იმერეთზე წარსულშიაც უფრო მეტად მოქმედობდა ევროპა და იმერეთი დღესაც ახლოს არის ევროპასთან, შედარებით; სხვა არა იყოს-რა, მარტო ზღვის სიახლოვეს დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. მერე ძალიან ხელის შემწყობია ის, რომ იმერეთს რამდენიმე „კულტურული ცენტრი“ აქვს და ამ ცენტრებთან მიმოსვლა გაადვილებულია. მაშინ, როდესაც ქართლი უფრო (განსაკუთრებით ბოლო დროს) აზიის სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო; ერთად-ერთი ქალაქი ჰქონდა და აქვს დღესაც, რომლიდანაც უნდა გავრცელდეს მცხოვრებლებში პროგრესიული მოძრაობა და რომელთანაც მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია...

მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო თუ ქართლელი ადამიანი მძიმედ და ძნელად ითვისებს ახალს ცხოვრებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ვერ შეითვისებს ამ ცხოვრებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართლელი ჩვენს მომავალში დიდს როლს ითამაშებს. მის ღრმა ბუნებაში ბევრი ძალა იმალება და როდესაც ეგ ძალა გამოფხიზლდება, შეინძრევა, მაშინ სულ სხვანაირად დატრიალდება ჩვენი ცხოვრების ჩარხი. ხოლო ბედნიერებად უნდა მივიჩნიოთ ჩვენის ერისთვის, რომ ქართლელს გვერდში უდგია მეორე ძმა იმერელი, რომელმაც უკვე გამოიღვიძა, ამოძრავდა და დიდს ნიჭსა და უნარს იჩენს დღევანდელს საარსებო ბრძოლაში. შეიძლება მწარე წარსულმა უფრო დაღალა ქართლელი, ამიტომ მეტად საამოა, რომ მის დასვენებისა და ძალ-ღონის მოკრებამდის იმერელს ძალუძს იფხიზლოს და იბრძოლოს...

ჩვენს საზოგადოებაში ხან-და-ხან საყვედური გაისმის ქართლელის თუ იმერლის თვისებების წინააღმდეგ. ქართლელი იმერელს დასცინის, ეშმაკი ხალხიაო, იმერელი თავის მხრით ქართლელს ტეტიას და შეუგნებელს ეძახის. ნურც ერთი ნუ გააზვიადებს თავის თავს, ერთი მეორეს განუშორებელი ნაწილია, ერთი მეორესთვის აუცილებელი საჭიროა და ორივენი-კი ერთად საერთო სამშობლოსათვის!

⁑

მე შემთხვევით ჩამივარდა ხელში ერთი პატარა ხელნაწერი, რომელიც, ეტყობა, „ჰამლეტის“ წარმოდგენის ზედგავლენით არის დაწერილი. ხელნაწერს სათაურად აწერია: „მიბაძვა ჰამლეტს“.

„სიკვდილი!.. რისთვის რისთვის? ეკითხება თავის თავს უცნობი ავტორი: განა ამ დიდს ქვეყანაზე არ დარჩენილა ერთი პატარა კუნჭული ჩემთვის? ერთი მივარდნილი, მიყრუებული, უვარგისი, ბნელი ადგილი? განა მე ბევრი მინდა?! ბნელოდეს, ცივოდეს, დახშული ჰაერი იყოს იქ, ყოველი სიბინძურით იყოს იგი სავსე, ოღონდ მაცხოვრონ იქ. თავი დამანებონ, მომასვენონ, ნურაფერს ხმას ნუ გამაგონებენ, ნუ იყვირებენ ჩემს გარშემო, ნუ წამამწარებენ სიცოცხლეს საშინელის სიტყვებით და სანახავებით!..

„ღმერთო ჩემო, არაფერი არ მინდა მათგან! განა მე რისმე ვნების მოტანა შემიძლია? ან მინდა ვისმე ვავნო? რისთვის მდევნიან, რისთვის? რად ეძიებენ და დევნიან ჩემს ფიქრს, როდესაც მე იგი არ მომეპოვება! რად მაბრალებენ ცუდს და მავნე გრძნობას, როდესაც მე არაფერს არ ვგრძნობ! რად ჰგონიათ, რომ ჩემი ნება-სურვილი მავნებელ საქმეებისაკენ არის მიმართული, როდესაც მე ნების ნასახიც არ გამაჩნია! რად მიცქერიან აგრე საშინლად?! მინდა გავიქცე, არ შემიძლია ავიტანო ეგ მზვერავი თვალები, კანკალს მაწყებინებს და ფეხი ვერ გადამიდგამს; მინდა ვიყვირო, მაგრამ ენა სასას მიკვრია; მინდა მუხლებზე დავეცე, ცრემლები დავღვარო, მიწას ვემთხვიო მათ ფეხთ ქვეშ, ფეხები დავულოკო, მაგრამ მოიღებენ ჩემზე მოწყალებას და არ გამირისხდებიან ასეთ თავხედურ გამბედაობისათვის?!

„ნუ წამართმევთ, ნუ, გევედრებით სიცოცხლეს! რად გინდათ თქვენ იგი? ყველაფერი მატვირთებინეთ, მონა ვარ თქვენი, ძაღლი, მცემეთ, ნურაფერს მაჭმევთ, ჩამომკიდეთ, მაწამეთ, მაწვალეთ, ენა მომჭერით, თვალები დამთხარეთ, ხელები დამჭერით, მომანიჭეთ ცხოვრება ყოვლად საზიზღარი, უვარგისი, რომელსაც კი გამოიგონებთ! მე მეტი არა მინდა რა! ღმერთებო! ღმერთებო!.. თქვენ ვერ შეგკადრებთ ადამიანის სახელს. თქვენ ხართ ყველაფრის ბატონი, ბრძანებელი, თქვენ გემონებათ ცა, დედამიწა, სულიერი და უსულო! თქვენი გონება აღემატება ყოვლისა ადამიანისა გონებას, თვალი თქვენი ყოვლის მხილველია, გული თქვენი ყოველის გამომცნობია. მე არა ვარ ღირსი თქვენის ხილვისა! დიდება სახელსა თქვენსა, ქვეყანა ბრწყინავს შუქისაგან სახისაგან თქვენისაგან, თქვენ აღავსებთ ქვეყანას ყოვლითა საუნჯითა! შვილნო ზეცისანო, მომნიჭებელნო მადლისა, გადმოხედეთ მონასა თქვენსა წყალობის თვალით და მიანიჭეთ მას ცხოვრება, მიიღეთ იგი მატლთა შორის და მიეცით მას ადგილი ნაგავსა, ნეხვსა და სიბინძურესა შინა...

„ღმერთნო ძლიერნო! შემიბრალეთ მე გლახაკი და ნუ განრისხდებით ჩემსა ზედა, რომელმაც გკადრათ თქვენ ვედრება. ცოდვილი ვარ, ცოდვილი და ღირს არა ვარ ვედრებისა თქვენისადმი!.. შემიბრალეთ! შემიბრალეთ! შემიბრალეთ!..“

არ ვიცი, რისთვის უწოდა ავტორმა ამ ახირებულს მონოლოგს „ჰამლეტის მიბაძვა“. მართალია, უხასიათო და ნებას მოკლებული ადამიანი იყო ჰამლეტი, მაგრამ იგი არასოდეს არ დაცემულა ისე, როგორც ჩვენი ავტორი.

მიუხედავად ამისა, ძალიან საინტერესოა, როგორ ესმის ზოგიერთებს ჰამლეტი! ეს გარემოება მშვენიერად ახასიათებს თავისთავად თანამედროვე ცხოვრებას, განმარტება მეტია...

⁑

ჩვენს ცივსა და უსიცოცხლობის მოტრფიალე თეატრში ერთი ცოცხალი და გულის გამთბობი ამბავი მოხდა წარსულ კვირას. თამაშობდნენ მხცოვან დრამატურგის გაბ. სუნდუკიანცის კომედიას „ხათაბალას“. წარმოდგენის შემდეგ გამოიწვიეს ავტორი და ისეთი მხურვალე ტაშის კვრით და ოვაციებით მიეგებნენ, რომლის მსგავსი მე იშვიათად მინახავს. სიამოვნებით აევსებდა გულს ყოველს ჩვენს მოკეთეს ერთიანი, აღტაცებული, გულწრფელი მილოცვა. ყველანი ერთ კაცივით მიეგებნენ დრამატურგს და, რასაკვირველია, არავის არ გაუტარებია გუშლი, რომ გაბ. სუნდუკიანცი არა ქართველია. თეატრში სრული თანხმობა იყო, სრული ჰარმონია, გატაცება ხელოვნებით და მისის იდეალით, რომლის საგანია მეტი ერთობა, მეტი ძმობა, მეტი სამართლიანობა არა მარტო კაცთა შორის, არამედ ერთა შორისაც!...

„წუთი სოფელი ესე: ღამე დღეს უთენებია; რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“. ხელოვნება-მწერლობა სიყვარულის მოციქულია. დეე, გამრავლდნენ გ. სუნდუკიანცისთანა სომეხ-ქართველი მწერლები!

სიტყვა

თეატრი

გაზეთები გადმოგვცემენ შინაარსს ჰაუპტმანის ახალ დრამის, „როზა ბერნდტ“-ისას, რომელიც ამას წინად წარმოადგინეს ბერლინის „გერმანულ თეატრ“-ში.

შინაარსი აღებულია სოფლის ცხოვრებიდან. უმთავრესი გმირი პიესისა როზა ბერნდტ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე ქალია. ყოველივე კარგ მომავალს უქადის: სილამაზე, კეთილი გული, შრომის მოყვარეობა. რომ იტყვიან—სოფლის თვალიაო, სწორედ როზაზე ითქმოდა. ახალგაზრდა ქალს სიცოცხლე სჩქეფს და გადმოდის. მაგრამ ყოველივე ეს მალე უბედურებად გადაექცა. როზა ორი წელიწადია თითქმის, რაც ყდის მკეთებელს ავგუსტ კეილზეა დანიშნული. ეს კეთილი სუსტი, ავადმყოფი, უსიცოცხლო, ძალ-ღონე გამოლეული ახალგაზრდაა, თუმცა გული კეთილი და მოსიყვარულე აქვს. კეილი სრულებით შესაფერი არ არის როზასთვის, რომელსაც მხიარული სიცოცხლე სწყურიან, მხურვალე სიყვარული. როზას თავისთანავე ძალ-ღონით სავსე კაცი უყვარს, მეზობელი მემამულე ფლამი. ამასაც უყვარს, მზად არის, შეირთოს როზა, მაგრამ... ცოლიანია. ახალგაზრდები ისე დაახლოვდებიან, რომ როზა დამორჩილდება ფლამს. ქალი ჰგრძნობს თავის დანაშაულს, ჰგრძნობს და იტანჯება. ტანჯვა უორკეცდება უფრო იმით, რომ როზა ფლამის სახლშია აღზრდილი, ფლამის ცოლს, ავადმყოფს, მაგრამ მეტად კარგ ადამიანს, შვილივით უყვარს როზა. ამ გაორკეცებულ ტანჯვას მალე მეორე უბედურება დაერთვება. სოფლის დონ-ჟუანი შტრეკმანი შენიშნავს ფლამისა და როზას კავშირს და ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ ეტყვის როზას, თუ მეც არ დამმორჩილდი, საიდუმლოებას გავამხელ და შეგარცხვენო. ქალს სძულს ეს კაცი, ეზიზღება, მაგრამ ემორჩილება. მეორედ ქალი ცივ უარს ეუბნება, რისთვისაც შტრეკმანი ქალის მამასა და კეილთან იმჟღავნებს ყველაფერს. მამას არა სჯერა, ამბობს, ჩემი ქალი პატიოსანი და უმანკოაო. შემდეგ საჩივარსაც აღძრავს შტრეკმანის წინააღმდეგ. სასამართლოში როზა ფიცს ქვეშ აცხადებს, რომ არავითარი კავშირი არა მქონია არც ფლამთან და არც სხვა ვინმესთანაო. ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ ყოვლად პატიოსანი, პირდაპირი, სიმართლის მოყვარული ქალი გარემოებათა გავლენით როგორ იცვლება და ტყუილებით სცდილობს თავის გამართლებას. ტყუილებითაც ვერაფერს აწყობს: ქალი ფეხ მძიმე აღმოჩნდება. ბოლოს ქალი უკიდურესობამდე მიდის—ჰკლავს ახლად დაბადებულ ბავშვს. ამის შემდეგ-კი საიდუმლოს ველარა ჰმალავს და ყველაფერს უმჟღავნებს თავის მამასა და დანიშნულს.

—მამაკაცები მდევნიდნენ,—ამბობს დატანჯული ქალი.—ვიმალებოდი, მეშინოდა იმათი, მაგრამ მაინც არ მასვენებდნენ. ერთის ხაფანგიდან მეორეში ვებმოდი, თავით ფეხამდე გავები მახეში... მე არავის არ ვუყვარდი ნამდვილად.

ქალი ჟანდარმს მიჰყავს პასუხის გებაში მისაცემად. ასე დაიღუპა სხვების წყალობით და გარემოებათა გავლენით ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე ქალი.

—

ამ ორი დღის წინად მოვიხსენიეთ პოტაპენკოს ახალი დრამა „Искупленіе“. ეხლა გაზეთები ამ პიესის შინაარსსაც გადმოგვცემენ. პოტაპენკო მეტად ნაყოფიერი მწერალია. არც ერთ რუსის მწერლის ნაწარმოები არ იბეჭდება იმდენი, რამდენიც ამ მწერლისა. წელს, მაგალითად, პოტაპენკოსი დაიბეჭდა ჟურნალ „М. Б.“-ში უზარმაზარი რომანი „დედა და ქალი“, „ნივა“-ში ერთი დიდი მოთხრობაა, სამი ამისი ახალი პიესა სექტემბერსა და ოქტომბერს წარმოადგინეს სატახტო ქალაქების თეატრებში. წვრილ მოთხრობებსა და ამბებს ხომ თვლა არა აქვს. ამოდენა ნაწარმოებიდან დიდი ყურადღები მიიქცია მხოლოდ ერთმა პიესამ, ზემოხსენებულმა დრამამ, რომელიც პეტერბურგში წარმოადგინეს. ეს ახალი პიესა ძალიანა ჰგავს თურმე ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხს“. აქაც ავადმყოფი და ნერვებ აშლილი ხალხია გამოყვანილი. მაგრამ ავადმყოფების გვერდით სულით და ხორცით მთელნიც არიან. ავადმყოფია სანდალოვების ოჯახი. პიესის გმირი-ქალი, მარიანნაც, ამ ოჯახის წევრია. მარიანნა გულითა და სულით სცდილობს გაექცეს ავადმყოფ და დაცემულ ხალხს, მაგრამ ჰგრძნობს, რომ მემკვიდრეობამ ისიც ჩაბღუჯა, რომ იმის წილი ჰაერიც მოწამლულია. პროფესორმა ვიქტორ ვალენჟნიკოვმა ახალგაზრდობისას შეირთო ცოლად სანდალოვების ქალი, მარიანნას უფროსი და. არ გასულა ორი თუ სამი წელიწადი, რომ ყოვლად პატიოსანი ვალენჟნიკოვი გაექცა ცოლს, ამ გახრწნილს და გაფუჭებულს ქალს, და თავისსავით პატიოსან და მშრომელ ქალთან დაიწყო ცხოვრება—.ამით სარგებლობს სანდალოვების მთელი ოჯახი და მოსვენებას არ აძლევს ვალენჟნიკოვს: სწეწავენ და ჰყვლეფავენ ამ კაცს. ყველაზედ მხნედ მოქმედებს კანონიერი ცოლი ვალენჟნიკოვისა და შვილი, გიმნაზიელი, დედისმიერ გარყვნილი და გაფუჭებული. ამ ჭაბუკს დედამამაზედ აქეზებს, მალ-მალ ჰგზავნის ფულის სათხოვნელად, ათას საზიზღრობას ეუბნება თავის მამის ცხოვრებიდან. არც დედის ძმები არიან უკეთესნი: ერთი ალკოჰოლიკი და ცინიკია, მეორე—მორფინისტი და სულით დაცემული. აი, ესენი დასჩხავიან და თავს ესხმიან მალ-მალ შავ ყვავებივით. კეთილ ანგელოზად მოსჩანს ამ ოჯახში მხოლოდ მარიანნა, რომელსაც გატაცებით უყვარს ვალენჟიკოვი. ეს სიყვარული ადრე განხორციელდა, როდესაც ვალენჟნიკოვი ოუცლო იყო. მარიანნა ჰხედავს ყველაფერს და გული უკვდება, უნდა გადაარჩინოს ვალენჟნიკოვი თავისიანებისაგან, უნდა მოინანიოს თავისიანების ცოდვა. როგორცა ვთქვით, ვალენჟნიკოვი ცოლთან აღარა სცხოვრობს, იმან სხვა ქალი ამოირჩია. ცოლი ყოველ საშუალებასა ხმარობს ამ „უკანონო ცოლის“ გასადევნად. ერთ დღეს მივიდა ცოლი ვალენჟნიკოვთან და გამოუცხადა, მე აქედან აღარ წავალო. მარიანხამ, დის თავგასულობით აღელვებულმა, რევოლვერს სტაცა ხელი, დაუმიზნა, მაგრამ მკლავი ჩამოუვარდა—გასროლა ვერ გაჰბედა. ამ დროს მშვიდი ვალენჟნიკოვი ცეცხლივით აენთება, გამოსტაცებს მარიანნას რევოლვერს და ესვრის ცოლს. ამით თავდება პიესა. მარიანნა ეხვეწება ვალენჟნიკოვს, ბრალს მე დავიდებ, შენ მოვალეობა გაწევს მეორე ოჯახის მიმართ და იცოცხლე იმათთვისაო.

სასამართლო

I

30 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ვლადიმერ ჩომახიძისა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ჩომახიძე და გადაუწყვეტია ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში 8 წლით გაგზავნა. პალატამ-კი სრულიად უდანაშაულოდ იცნო და გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

II

ტფილისის ოლქის სასამართლოში 9 დეკემბრისთვის განსახილველად დანიშნულია საქმე ტოტო ივანეს ძის გაბაშვილისა (იგივე გიორგი ივანეს ძე ალნიაშვილი), საპატიო მოქალაქის ოჰანეზ ტერვართან-ტერ ვართანიანცისა, მოქალაქეთა ავანე რომანოზის ძის თოთიბაძისა და რაჟდენ იოსების ძის ცეცხლაძისა და გლეხთა ილია გიტოს-ძის თოხაძისა, ნიკოლოოზ მაქსიმეს ძის სალუქვაძისა, ირაკლი ილარიონის ძის თოიძისა, გრიგოლ ნიკოლოოზის ძის მამულაშვილისა და გიორგი ონისიმეს ძის დოლიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ზედაზნისა და წმ. ანტონ მარტყოფელის მონასტერზე თავს დაცემა და გაძარცვა. ამ საქმის გამო დაბარებულია 80-მდე მოწმე.

III

30 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე საჩხერელ ვაჰრის ეფრემ ხვთისიაშვილისა, რომელსაც საჩხერის მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმნის მგალობლიშვილის სიტყვით შეურაცხება ჰბრალდებოდა სამსახურის აღსრულების დროს. ეფრემ ხვთისიაშვილს ერთ მემამულესთან ადგილის თაობაზე საჩივარი ჰქონია. რაღაც ცნობების მისაღებად მოსამართლის თარჯიმანთან, მგალობლიშვილთან მისულა, მაგრამ იმას თხოვნა არ აუსრულებია და მაშინ უთქვამს, თქვენ ჩემ მოპირდაპირეებს უდგებით რაღაც ინტერესითაო. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულ ეფრემ ხვთისიაშვილისთვის ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაუწყვეტია ჯარიმა 30 მან. პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

IV

ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ზაქარია კანდელაკიშვილის სახლში მისულა ნასვამი მასივე სახლიკაცი იოსებ კანდელაკიშვილი; ლაპარაკი მოსვლიათ, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა. ამ ჩხუბის დროს ზაქარიას ისე უცემია იოსებისათვის, რომ იგი რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. ამის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს ზაქარიასათვის გადაუწყვეტია ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში $1^1/_2$ წლით გაგზავნა. პალატამ ზაქარია კანდელაკიშვილს ეს სასჯელი შეუცვალა და გადაუწყვიტა ღირსების ჩამოურთმევლად სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება და საეკკლესიო სინანული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ოქტომბერი

შანჰაი. როგორც ამბობენ, იუანშიკაისა და გენერალ მას მთავრობისათვის განუცხადებიათ, კვირას მზად ვიქნებით გავიდეთ მანჯურიაში რუსების წინააღმდეგაო.

ტიანძინი. რუსეთის მოთხოვნილება კორეას საზღვრიდან ტაოტაიას ჩუუანას უკან მოწვევის შესახებ ჩინეთის მთავრობამ უკვე შეასრულა.—ამტკიცებენ, რომ ჩინეთი იწვევს ჯარის გადაყვანას მანჯურიისაკენო.

რეველი. სულით ავადმყოფთათვის პირველი შენობა აკურთხეს. შენობა ითავსებს 120 ავადმყოფს.

ტიანძინი. მეფის მოადგილე ადმირალი ალექსეევი პორტ-არტურიდან პეტერბურგს გაემგზავრება 5 ოქტომბერს.—იუანშიკაიმ აცნობა ჩინეთის მთავრობას, 45 ათასი ჯარის კაცი მზათ მყავს მანჯურიის დასაჭერადო.

ტოკიო. კომურასა და როზენს პატარა ხნობით თათბირი ჰქონდათ.

ურმია. ინგლისისა, ამერიკისა, პროტესტანტებისა და კათოლიკების მისიებს ასურელ-ქალდეველები მოსყიდვით გადმოჰყავთ თავიანთ სარწმუნოებაზე; ასორ-ნესტორიანებს როდესაც მართლ-მადიდებლობას დებულობდნენ, იმედი ჰქონდათ ფულის გულისათვის რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ, მაგრამ დღეს ჰხედავენ თავის შეცდომას და ისევ ნესტორიანობას დებულობენ და მართლ-მადიდებელ ეკკლესიების უკან დაბრუნებას თხოულობენ.

ლოძი. დაარსდა განყოფილება ჩრდილოეთ მეგემეთა საზოგადოებისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შორეულ-აღმოსავლეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას.

ლონდონი. ლორდი რობერტსი ფილტვების ანთებით ავად გახდა.

კონსტანტინეპოლი. ცნობა, ვითომ იტალიისა და ინგლისის ელჩები რეფორმათა მოთხოვნილებას მარტო ზოგადის ფრაზებით უჭერდნენ მხარსა, ტყუილია. გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებმა ძლიერ ენერგიულად დაუჭირეს მხარი, მაგრამ ინგლისისა და იტალიის მთავრობამაც საკმაოდ აუხსნა პორტას, რომ როგორც აქაურ, ისე ლონდონსა და რომში მყოფ ელჩების საშუალებით, პორტამ უნდა მიიღოს რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის მოთხოვნილებანი. როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ დროს ილდიზკიოსკშიაც იმ აზრს დაადგნენ, რომ დიდ სახელმწიფოებს მოსწონთ რუსეთისა და ავსტრიის მოქმედება. ოსმალეთი უსათუოდ ეცდება ამ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართოს, რომ ცოტათი მაინც შეამსუბუქონ მოთხოვნილებანი. რეფორმების სრულად მიღებამდის დიდი დრო გაივლის და ამისთვის საჭირო იქნება ღონისძიების მიღება.

1 ნოემბერი

არიოლი. კარაჩევსკის საერობო კრებამ სასურველად სცნო საარჩევნო ცენზის შემცირება 130 დესეტინამდე, უარ-ჰყო სწავლა-განათლებისა და სამსახურის ცენზი, აგრეთვე ხმოსანთა რიცხვის გამრავლება და დაადგინა, სასოფლო-სამეურნეო სკოლა დააარსონ.

ჰელსინგფორსი. ცნობილი ისტორიკოსი და მეთაურთაგანი ძველ-ფინლიანდიელების პარტიისა, ბარონი ირიეკოსკინენი გარდაიცვალა.

ბელოსტოკი. 31 ოქტომბერს, საღამოს, ქალაქის ცენტრში ტიკოცკოის ქუჩაზე, აურებელი ხალხის თვალ-წინ, პოლიცმეისტერს მეტლენიკოს სამჯერ ესროლეს რევოლვერი და გვერდში დასჭრეს. ტყვია გამოუღეს. ჭრილობა მსუბუქია. ბოროტ-მოქმედნი დაიმალნენ და ეძებენ გაფაციცებით.

ხარკოვი. საბჭომ დაადგინა, ისესხოს საგუბერნიო ერობისაგან 250 ათასი მანეთი არსებულ შვიდ საქალაქო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად.

სოფია. სარაფოვმა მოახერხა ბოლგარიაში დაბრუნება. თან ახლავს პორუჩიკი ივანოვი, ივანოვიჩი და რაზმი, 65 კაცისაგან შემდგარი. ვიუსტენდილში სარაფოვი დიდის აღტაცებით მიიღეს; ოსმალთა ყურადღების ასაცილებლად სარაფოვმა ხალხი სამს პატარა ჯგუფად გაჰყო. იმის ამხანაგს პეტროვს, რომელიც ცალკე მიდიოდა ამხანაგებთან ერთად, თავს დაეცნენ ოსმალები კრატოვსკის ოლქში და მოჰკლეს. მეორე თანამებრძოლი სარაფოვისა პორუჩიკი დეჩევიც მოკლულა. ახლად მოსულნი ლაპარაკობენ, რომ აჯანყებულთ ზაფხულის განმავლობაში დაუკარგავთ 1,200 კაცამდე; გადამწვარია 130 სოფელი. მცხოვრებნი საშინელს გაჭირვებაში არიან და წარმოუდგენელს ტანჯვა-წვალებას ითმენენ.

პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	$37,32^1/_2$	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37,62^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$95^1/_8$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	465	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	353	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$293^1/_2$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	225	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ხის ნახშირის
საწყობი
იაკობ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—5)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე .	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. .	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозв. ценз. Тифлисъ 1 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).